

ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №11

2016 წლის 16 მარტი

ქ. გორი

„ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 5 თებერვლის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ.ა.“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის და საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 5 თებერვლის №5 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge 11/02/2016; 190020020.35.174.016141) „ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) დადგენილების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2014 წლის ფაქტი | 2015 წლის გეგმა | | | 2016 წლის გეგმა | | |
|-------------------------|-----------------|-----------------|---|----------------------|-----------------|---|----------------------|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსავლები | 18 958,1 | 16 798,3 | 3 048,3 | 13 750,0 | 18 095,6 | 3 253,6 | 14 842,0 |
| გადასახადები | 1 840,3 | 1 400,0 | 0,0 | 1 400,0 | 3 400,0 | 0,0 | 3 400,0 |
| გრანტები | 15 046,6 | 13 695,0 | 3 048,3 | 10 646,7 | 12 564,6 | 3 253,6 | 9 311,0 |
| სხვა შემოსავლები | 2 071,2 | 1 703,3 | 0,0 | 1 703,3 | 2 131,0 | 0,0 | 2 131,0 |
| ხარჯები | 12 172,4 | 14 801,1 | 337,1 | 14 463,9 | 14 447,3 | 719,4 | 13 727,9 |
| შრომის ანაზღაურება | 1 581,8 | 1 708,7 | 75,0 | 1 633,7 | 1 874,2 | 75,0 | 1 799,2 |
| საკონელი და მომსახურება | 2 391,0 | 1 541,2 | 0,0 | 1 541,2 | 1 698,5 | 0,0 | 1 698,5 |
| ძირითადი კაპიტალის | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |



| | | | | | | | |
|---------------------------------|---------|----------|----------|----------|----------|---------|---------|
| მომსახურება | | | | | | | |
| პროცენტი | 49,1 | 20,3 | 0,0 | 20,3 | 1,1 | 0,0 | 1,1 |
| სუბსიდიები | 7 078,0 | 8 887,2 | 125,0 | 8 762,2 | 8 659,7 | 125,0 | 8 534,7 |
| გრანტები | 0,0 | 1 354,6 | 0,0 | 1 354,6 | 620,0 | 0,0 | 620,0 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 812,3 | 506,0 | 10,0 | 496,0 | 621,0 | 10,0 | 611,0 |
| სხვა ხარჯები | 260,3 | 783,0 | 127,1 | 655,9 | 972,9 | 509,4 | 463,5 |
| საოპერაციო სალდო | 6 785,7 | 1 997,3 | 2 711,2 | -713,9 | 3 648,3 | 2 534,2 | 1 114,1 |
| არაფინანსური აქტივების ცვლილება | 4 931,7 | 4 683,4 | 4 525,4 | 158,0 | 4 737,0 | 2 952,7 | 1 784,3 |
| ზრდა | 5 125,2 | 5 413,4 | 4 525,4 | 888,0 | 5 067,0 | 2 952,7 | 2 114,3 |
| კლება | 193,5 | 730,0 | 0,0 | 730,0 | 330,0 | 0,0 | 330,0 |
| მთლიანი სალდო | 1 854,0 | -2 686,1 | -1 814,2 | -871,9 | -1 088,7 | -418,5 | -670,2 |
| ფინანსური აქტივების ცვლილება | 1 667,4 | -2 903,8 | -1 814,2 | -1 089,6 | -1 182,5 | -468,3 | -714,2 |
| ზრდა | 1 992,7 | | | | | | |
| ვალუტა და დეპოზიტები | 1 992,7 | | | | | | |
| კლება | 325,4 | 2 903,8 | 1 814,2 | 1 089,6 | 1 182,5 | 468,3 | 714,2 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 325,4 | 2 903,8 | 1 814,2 | 1 089,6 | 1 182,5 | 468,3 | 714,2 |
| ვალდებულებების ცვლილება | -186,6 | -217,6 | 0,0 | -217,6 | -93,8 | -49,8 | -44,0 |
| ზრდა | | | | | | | |
| კლება | 186,6 | 217,6 | 0,0 | 217,6 | 93,8 | 49,8 | 44,0 |
| საშინაო | 186,6 | 217,6 | 0,0 | 217,6 | 93,8 | 49,8 | 44,0 |
| ბალანსი | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |

ბ) დადგენილების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:



| დასახელება | 2014 წლის ფაქტი | 2015 წლის გეგმა | | | 2016 წლის გეგმა | | |
|---|-----------------|-----------------|---|----------------------|-----------------|---|----------------------|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსულობები | 19 151,6 | 17 528,3 | 3 048,3 | 14 480,0 | 18 425,6 | 3 253,6 | 15 172,0 |
| შემოსავლები | 18 958,1 | 16 798,3 | 3 048,3 | 13 750,0 | 18 095,6 | 3 253,6 | 14 842,0 |
| არაფინანსური აქტივების კლება | 193,5 | 730,0 | 0,0 | 730,0 | 330,0 | 0,0 | 330,0 |
| ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით) | | | | | | | |
| ვალდებულებების ზრდა | | | | | | | |
| გადასახდელები | 17 484,2 | 20 432,1 | 4 862,5 | 15 569,6 | 19 608,1 | 3 721,9 | 15 886,2 |
| ხარჯები | 12 172,4 | 14 801,1 | 337,1 | 14 463,9 | 14 447,3 | 719,4 | 13 727,9 |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 5 125,2 | 5 413,4 | 4 525,4 | 888,0 | 5 067,0 | 2 952,7 | 2 114,3 |
| ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით) | | | | | | | |
| ვალდებულებების კლება | 186,6 | 217,6 | 0,0 | 217,6 | 93,8 | 49,8 | 44,0 |
| ნაშთის ცვლილება | 1667,4 | -2 903,8 | -1 814,2 | -1 089,6 | -1 182,5 | -468,3 | -714,2 |

გ) დადგენილების მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3. ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 18 095,6 ათასი ლარის ოდენობით:

| დასახელება | 2014 წლის ფაქტი | 2015 წლის გეგმა | | | 2016 წლის გეგმა | | |
|--------------|-----------------|-----------------|---|----------------------|-----------------|---|----------------------|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსავლები | 18 958,1 | 16 798,3 | 3 048,3 | 13 750,0 | 18 095,6 | 3 253,6 | 14 842,0 |
| გადასახადები | 1 840,3 | 1 400,0 | 0,0 | 1 400,0 | 3 400,0 | 0,0 | 3 400,0 |



| | | | | | | | |
|------------------|----------|----------|---------|----------|----------|---------|---------|
| გრანტები | 15 046,6 | 13 695,0 | 3 048,3 | 10 646,7 | 12 564,6 | 3 253,6 | 9 311,0 |
| სხვა შემოსავლები | 2 071,2 | 1 703,3 | 0,0 | 1 703,3 | 2 131,0 | 0,0 | 2 131,0 |

დ) დადგენილების მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5. ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 12 564,6 ათასი ლარის ოდენობით:

| დასახელება | 2014 წლის ფაქტი | 2015 წლის გეგმა | 2016 წლის გეგმა |
|---|--------------------|--------------------|--------------------|
| გრანტები | 15 046,6 | 13 695,0 | 12 564,6 |
| გრანტები ერთიანი მუნიციპალური ბიუჯეტებიდან | | 700,0 | 0,0 |
| სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერები | 15 046,6 | 12 995,0 | 12 564,6 |
| ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები | 8 978,9 | 10 156,7 | 9 521,0 |
| გათანაბრებითი ტრანსფერი | 8 799,4 | 9 946,7 | 9 311,0 |
| მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად | 179,5 | 210,0 | 210,0 |
| ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | 6 067,7 | 2 838,3 | 3 043,6 |
| რეგიონების ფონდის პირველადი განაწილება | 5 767,7 | 2 838,3 | 3 043,6 |
| სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | | | |
| მგფ-ის თანადაფინანსება | | | |
| სხვა პროექტები | | | |
| წერეთლის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაცია | | | |
| მთავრობის სარეზერვო ფონდიდან | 300,0 | | |
| პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან | | | |

ე) დადგენილების მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 7. ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 14 447,3 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:



| დასახელება | 2014 წლის ფაქტი | 2015 წლის გეგმა | | | 2016 წლის გეგმა | | |
|-------------------------|-----------------|-----------------|---|----------------------|-----------------|---|----------------------|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| ხარჯები | 12 172,4 | 14 801,1 | 337,1 | 14 463,9 | 14 447,3 | 719,4 | 13 727,9 |
| შრომის ანაზღაურება | 1 581,8 | 1 708,7 | 75,0 | 1 633,7 | 1 874,2 | 75,0 | 1 799,2 |
| საქონელი და მომსახურება | 2 391,0 | 1 541,2 | 0,0 | 1 541,2 | 1 698,5 | 0,0 | 1 698,5 |
| პროცენტი | 49,1 | 20,3 | 0,0 | 20,3 | 1,1 | 0,0 | 1,1 |
| სუბსიდიები | 7 078,0 | 8 887,2 | 125,0 | 8 762,2 | 8 659,7 | 125,0 | 8 534,7 |
| გრანტები | 0,0 | 1 354,6 | 0,0 | 1 354,6 | 620,0 | 0,0 | 620,0 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 812,3 | 506,0 | 10,0 | 496,0 | 621,0 | 10,0 | 611,0 |
| სხვა ხარჯები | 260,3 | 783,0 | 127,1 | 655,9 | 972,9 | 509,4 | 463,5 |

ვ) დადგენილების მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 4 737,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 5 067,0 ათასი ლარის ოდენობით თანდართული რედაქციით:

| კოდი | დასახელება | 2014 წლის ფაქტი | 2015 წლის გეგმა | 2016 წლის გეგმა |
|-------|---|-----------------|-----------------|-----------------|
| 01 00 | წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება | 65,4 | 40,0 | 132,7 |
| 02 00 | თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება | 201,5 | 0,0 | 0,0 |
| 03 00 | ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია | 4 118,5 | 4 310,2 | 4 688,7 |
| 04 00 | საგანმანათლებლო ღონისძიებები | 31,0 | 880,6 | 3,8 |
| 05 00 | სპორტული და კულტურული ღონისძიებები | 708,8 | 182,5 | 241,8 |



| | | | | |
|-----------------|--|----------------|----------------|----------------|
| 06 00 | მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | | 0,0 | 16,2 |
| სულ ჯამი | | 5 125,2 | 5 413,4 | 5 067,0 |

ბ) განისაზღვროს ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 330,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

| დასახელება | 2014 წლის ფაქტი | 2015 წლის გეგმა | 2016 წლის გეგმა |
|------------------------------|--------------------|--------------------|--------------------|
| არაფინანსური აქტივების კლება | 193,5 | 730,0 | 330,0 |
| ძირითადი აქტივები | 117,9 | 130,0 | 50,0 |
| არაწარმოებული აქტივები | 75,6 | 600,0 | 280,0 |
| მიწა | 75,6 | 600,0 | 280,0 |

ზ) დადგენილების მე-9 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 9. ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

| ფუნქც. კოდი | დასახელება | 2014 წლის ფაქტი | 2015 წლის გეგმა | 2016 წლის გეგმა |
|-------------|--|--------------------|--------------------|--------------------|
| 701 | საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება | 1 972,1 | 2 379,9 | 2 756,6 |
| 7011 | ადმსრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები | 1 923,0 | 2 358,7 | 2 755,5 |
| 70111 | ადმსრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა | 1 923,0 | 2 358,7 | 2 655,5 |
| 70112 | ფინანსური და ფისკალური საქმიანობა | | | 100,0 |
| 7013 | საერთო დანიშნულების მომსახურება | | | |
| 70133 | საერთო დანიშნულების სხვა მომსახურება | | | |
| 7016 | ვალთან დაკავშირებული ოპერაციები | 49,1 | 21,2 | 1,1 |
| 7018 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში | | | |
| 702 | თავდაცვა | 81,6 | 108,3 | 98,2 |



| | | | | |
|-------|---|----------------|----------------|----------------|
| 703 | საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება | 860,8 | 714,7 | |
| 7031 | პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა | | | |
| 7032 | სახანძრო-სამაშველო სამსახური | 860,8 | 714,7 | |
| 704 | ეკონომიკური საქმიანობა | 2 928,0 | 3 992,1 | 6 322,8 |
| 7041 | საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობა | | | |
| 70411 | საერთო ეკონომიკური და კომერციული საქმიანობა | | | |
| 7042 | სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა | | 37,2 | |
| 70421 | სოფლის მეურნეობა | | 37,2 | |
| 7044 | სამთომომპოვებელი და გადამამუშავებელი მრეწველობა, მშენებლობა | | | |
| 70443 | მშენებლობა | | | |
| 7045 | ტრანსპორტი | 2 052,8 | 2 323,9 | 3 915,7 |
| 70451 | საავტომობილო ტრანსპორტი და გზები | 2 052,8 | 2 323,9 | 3 915,7 |
| 70455 | მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები | | | |
| 7047 | ეკონომიკის სხვა დარგები | | 20,0 | 70,0 |
| 70473 | ტურიზმი | | 20,0 | 70,0 |
| 7049 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში | 875,2 | 1 611,0 | 2 337,1 |
| 705 | გარემოს დაცვა | 2 664,7 | 2 060,5 | 584,0 |
| 7051 | ნარჩენების შეგროვება, გადამამუშავება და განადგურება | 865,7 | 169,7 | 99,0 |
| 7052 | ჩამდინარე წყლების მართვა | 1 799,0 | 1 890,8 | 485,0 |
| 7054 | ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვა | | | |
| 706 | საბინაო-კომუნალური მეურნეობა | 877,0 | 1 038,5 | 942,7 |
| 7061 | ბინათმშენებლობა | | | |
| 7062 | კომუნალური მეურნეობის განვითარება | 80,6 | 425,0 | 283,2 |
| 7063 | წყალმომარაგება | 177,1 | 110,0 | 110,0 |



| | | | | |
|-------|--|---------|---------|---------|
| 7064 | გარე განათება | 510,8 | 403,5 | 429,5 |
| 7066 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში | 108,5 | 100,0 | 120,0 |
| 707 | ჯანმრთელობის დაცვა | 225,0 | 233,0 | 233,0 |
| 7072 | ამბულატორიული მომსახურება | 100,0 | 108,0 | 108,0 |
| 7074 | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება | 125,0 | 125,0 | 125,0 |
| 708 | დასვენება, კულტურა და რელიგია | 5 319,9 | 5 892,2 | 5 394,6 |
| 7081 | მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში | 3 304,2 | 3 627,4 | 3 115,2 |
| 7082 | მომსახურება კულტურის სფეროში | 1 985,7 | 2 231,8 | 2 249,5 |
| 7083 | ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა | 30,0 | 33,0 | 30,0 |
| 7084 | რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა | | | |
| 7086 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში | | | |
| 709 | განათლება | 1 957,1 | 3 138,3 | 2 472,8 |
| 7091 | სკოლამდელი აღზრდა | 1 957,1 | 3 088,3 | 2 400,3 |
| 7092 | ზოგადი განათლება | 0,0 | 50,0 | 35,0 |
| 70923 | საშუალო ზოგადი განათლება | 0,0 | 50,0 | 35,0 |
| 7096 | განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება | 0,0 | 0,0 | 37,5 |
| 7098 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში | | | |
| 710 | სოციალური დაცვა | 411,4 | 656,8 | 709,6 |
| 7101 | ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა | 111,5 | 210,5 | 259,0 |
| 71011 | ავადმყოფთა სოციალური დაცვა | 76,1 | 174,2 | 205,0 |
| 71012 | შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა | 35,5 | 36,3 | 54,0 |
| 7102 | ხანდაზმულთა სოციალური დაცვა | 0,0 | | 1,0 |
| 7103 | მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა | 1,0 | 44,1 | 42,0 |
| 7104 | ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა | 30,0 | 55,5 | 69,0 |
| 7106 | საცხოვრებლით უზრუნველყოფა | 6,3 | 43,9 | 45,0 |



| | | | | |
|----------|---|----------|----------|----------|
| 7109 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში | 262,5 | 302,8 | 293,6 |
| სულ ჯამი | | 17 297,6 | 20 214,4 | 19 514,3 |

თ) დადგენილების მე-10 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 10. ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო -1 088,7 ათასი ლარის ოდენობით.

ი) დადგენილების მე-11 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 11. ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება -1 182,5 ათასი ლარის ოდენობით.

2. განისაზღვროს ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 1 182,5 ათასი ლარის ოდენობით.

კ) დადგენილების მე-12 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 12. ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება -93,8 ათასი ლარის ოდენობით.

ლ) დადგენილების მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ა.ა) გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები (პროგრამული კოდი 03 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საავტომობილო გზების მოვლა, ქალაქის დაზიანებული გზების ორმოული შეკეთება და იგეგმება რუსთაველის ქუჩიდან ხაშურის ქუჩის მიმართულებით საცურაო აუზის შენობამდე მიმავალი ქუჩის, ჩოდრიშვილის ქუჩიდან ბარნოვის ქუჩა №9-ის მიმართულებით გამავალი ჩიხის, ქეთევან წამებულის ქუჩის მონაკვეთის, გოგებაშვილის ქუჩის მონაკვეთის, გოგებაშვილის ქუჩის პირველი შესახვევის, ბაჩანას ქუჩის, ქეთევან წამებულის ჩიხის, რუსთაველის ჩიხის, სუხიშვილის ქუჩის მონაკვეთის რეაბილიტაცია.

ქალაქში 25 ადგილზე დამონტაჟდება სიჩქარის შემაფერხებელი ბარიერები. ქალაქ გორის 68 ქუჩაზე განხორციელდეს ასფალტის საფარის დახაზვის სამუშაოები. ქალაქ გორში იგეგმება 68 ქუჩის დაახლოებით 62 კილომეტრზე პირობითი საგზაო ნიშნების მონტაჟი (დეონტაჟი), დამისამართების აბრების მოწყობა, ქ. გორში, სტალინის გამზირი №7, №14, №25-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, მშვიდობის გამზირი №11, №14-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, შინდისის გზატკეცილი №5, №20-ის მიმდებარე ტერიტორიაზე და ცხინვალის გზატკეცილის მეორე კმ-ზე ბლოკის საამქროს მიმდებარე ტერიტორიაზე სიჩქარისმზომი რადარების დამონტაჟება და შუქნიშნების მოვლა-ექსპლოატაცია.

განსახორციელებელი პროექტების ფარგლებში დაგეგმილია ქალაქ გორში, რკინიგზის სადგურის დასახლებაში არსებული ქუჩების და სანიაღვრე სისტემის, საფეხმავლო სივრცეების, თამარ მეფის ქუჩის (სტალინის გამზირიდან გურამიშვილის ქუჩამდე მონაკვეთის), მირზა გელოვანის, იოსებ ნონეშვილის, თელავის ქუჩის (მირზა გელოვანის ქუჩიდან დამბარაულის ქუჩამდე) მონაკვეთის, გურამიშვილის ქუჩის (თამარ მეფის ქუჩიდან სამეფოს ქუჩამდე) მონაკვეთის, ირაკლი აბაშიძის ქუჩის (მერაბ კოსტავას ქუჩიდან ჭავჭავაძის ქუჩამდე) მონაკვეთის რეაბილიტაციის დაფინანსება და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანადაფინანსება.



ასევე გასული წლის ვალდებულების ფარგლებში დაფინანსდება საგზაო ნიშნების მოწყობა, სადგურის დასახლებაში არსებული ქუჩათა ქსელის რეაბილიტაცია. დასრულდება თავზიშვილისა და კლდიაშვილის ქუჩების რეაბილიტაცია და სასაფლაოს გზისა და ღამბარაულის ქუჩის რეაბილიტაციის დაფინანსება.

მ) დადგენილების მე-16 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს „ბ.ბ“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ბ.ბ) დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია გასული წლის ვალდებულების ფარგლებში შეძენილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების ურნების ღირებულების დაფინანსება.

ნ) დადგენილების მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ბ.გ) საკანალიზაციო სისტემის მოწყობა და რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია რუსთაველის, ნინოშვილის და სამეფოს ქუჩებზე სანიაღვრე არხის მოწყობა.

გასული წლის ვალდებულების ფარგლებში დაფინანსდება ატენის ქუჩის სანიაღვრე სისტემის მოწყობა, წმინდაწყლის არხის გაწმენდა და ბოგირის მოწესრიგება, რკინიგზის სადგურის დასახლებაში არსებული საკანალიზაციო ქსელის მოწყობა და რკინიგზის სადგურის დასახლების საკანალიზაციო სისტემის გამწმენდი ნაგებობის მოწყობის სამუშაოები.

ო) დადგენილების მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ბ.დ) წყლის სისტემის რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მერია უზრუნველყოფს სასმელი წყლის სოკოებზე და შადრევნებზე დახარჯული წყლის ღირებულების ანაზღაურებას და განხორციელებს დევნილთა დასახლებებში სასმელი წყლის ჭაბურღილების ფუნქციონირებისათვის საჭირო ელ.ენერჯის ღირებულების ანაზღაურება.

პ) დადგენილების მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ბ.ე) მუნიციპალიტეტის განვითარების სააგენტოს ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 03 02 06)

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური პრობლემების და მოთხოვნილებების შესწავლის, მუნიციპალიტეტის განვითარებისათვის განსახორციელებელი პროექტებისათვის თანხების მოძიების, დემოგრაფიულ, სოციალურ და ეკონომიკურ სკიოტებზე გამოკითხვების ჩატარების, ხელისუფლების და ბიზნეს სექტორის მიერ საინვესტიციო შესაძლებლობების ანალიზის, უცხოურ ორგანიზაციებთან პარტნიორული ურთიერთობის დამყარების და განვითარების სხვა პროგრამების შემუშავების მიზნით დაგეგმილია სააგენტოს ადმინისტრაციული ხარჯების უზრუნველყოფა და სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიი ე.წ.ფაბლაბის შექმნისთვის ტექნიკური ბაზის შექმნა სუბსიდირების გზით.

ჟ) დადგენილების მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ.ე“ ქვეპუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ბ.ვ) ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 03 02 07)

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურული მდგომარეობის გაუმჯობესების და შემდგომში პრობლემის გადაჭრის მექანიზმის შექმნის მიზნით მუნიციპალიტეტი აცხადებს მზადყოფნას გარკვეული თანადაფინანსებით წაახალისოს ყველა ის ორგანიზაცია (საბიუჯეტო,



არასამთავრობო, სათემო, არარეგისტრირებული კავშირი, არასამეწარმეო და სხვა), რომელიც საკუთარი სახსრებით ან დონორი ორგანიზაციებიდან გრანტის მიღების გზით მოახდენს წილობრივ თანადაფინანსებას პროექტის განხორციელებისათვის.

გასული წლის ვალდებულების ფარგლებში განხორციელდება №10 საბავშვო ბაგა-ბაღის რეაბილიტაციის თანადაფინანსება.

რ) დადგენილების მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ.ვ“ ქვეპუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ბ.ზ) ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეთა გაერთიანებების თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 03 02 08)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თანადაფინანსება. თანადაფინანსების შემთხვევაში აღნიშნული პროექტი უნდა ითვალისწინებდეს მრავალსართულიანი სახლების, ორ ან ორზე მეტ მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე არსებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების და მათი მიმდებარე ფართობების ინფრასტრუქტურის განვითარებას.

გასული წლის ვალდებულების ფარგლებში განხორციელდება ცხინვალის გზ.№21/ა მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის საკანალიზაციო ქსელის მოწყობის სამუშაოების თანადაფინანსება.

ს) დადგენილების მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ.ზ“ ქვეპუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ბ.თ) ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება (პროგრამული კოდი 03 02 10)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტურისტული ინფრასტრუქტურული კომპლექსის მოწყობა სველი წერტილებით, შემნახველი საკნებით და სხვა.

ტ) დადგენილების მე-16 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს „გ.გ“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

გ.გ) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების, ლიფტების და ეზოების კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 03 03 05)

განსახორციელებელი პროექტების ფარგლებში დაგეგმილია კომბინატის დასახლებაში არსებულ მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში წყალმომარაგებისა და კანალიზაციის საერთო სარგებლობის ქსელების რეაბილიტაციის დაფინანსება და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანადაფინანსება.

გასული წლის ვალდებულების ფარგლებში განხორციელდება სტიქიის შედეგად დაზიანებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სადარბაზოების შეკეთება და ყიფიანის ქ.№33 ბინის რეაბილიტაცია.

უ) დადგენილების მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „გ.გ“ ქვეპუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

გ.დ) დეფექტური აქტების, პროექტების და ხარჯთაღრიცხვების მომსახურების დაფინანსება (პროგრამული კოდი 03 03 07)

მუნიციპალიტეტში დაგეგმილი სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საფუძველს წარმოადგენს მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესის გათვალისწინებით შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, ასევე აუცილებელ შესრულებულ სამუშაოებზე ექსპერტიზის ჩატარება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენა. ქვეპროგრამების ფარგლებში დაგეგმილია ზემოაღნიშნული ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

გასული წლის ვალდებულების ფარგლებში განხორციელდება ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის ელექტრონული საქმისწარმოების პროექტის და კომბინატის დასახლებაში არსებული მრავალბინიანი



სახლების წყალ-კანალიზაციის რეაბილიტაციის პროექტის ღირებულების დაფინანსება.

ფ) დადგენილების მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „გ.დ“ ქვეპუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

გ.ე) სივრცით მონაცემთა უზრუნველყოფის სამსახურის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 03 03 08)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შენობა-ნაგებობების სამგანზომილებიანი მოდელირება, მასზე არსებული ინფორმაციის მიმაგრება და ინტერნეტ სივრცეში განთავსება. გეოინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვა. ასევე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო და არასასოფლო დანიშნულების მიწის ნაკვეთების და შენობა-ნაგებობების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მიზნით მათი ექსპლოატაციისათვის აუცილებელი ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადების უზრუნველყოფა.

ქ) დადგენილების მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „გ.ე“ ქვეპუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

გ.ვ) სანერგე მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 03 03 09)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია გამწვანებისათვის და ქარსაცავი ზოლის მოწყობისათვის საჭირო ნერგების გამოყვანა, დაკალმვა, ნიადაგის მოვლა და დაზიანებული ხეების გასხვლა-გადაბეღვის სამუშაოები.

ღ) დადგენილების მე-16 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს „გ.ზ“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

გ.ზ) აბრებისა და მემორიალის მოწყობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 03 11)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია გასული წლის ვალდებულების ფარგლებში ქუჩის მიმთითებელი აბრის (განათებით) ღირებულების დაფინანსება.

ყ) დადგენილების მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „გ.ვ“ ქვეპუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

გ.თ) კეთილმოწყობის სამსახურის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 03 03 12)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქის ქუჩების დაგვა-დასუფთავება, მოსახლეობიდან და ორგანიზაციებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, ურნების გათავისუფლება და სანიტარული დამუშავება (პერიოდულად); ქალაქის იერსახის შენარჩუნების და შემდგომი გაუმჯობესებისათვის ქალაქის ქუჩების, შენობების, ხიდების, შადრევნების გარე განათების სისტემის და შენობა-ნაგებობების დეკორატიული განათების მოწყობა-ექსპლოატაცია; ქალაქის სანიაღვრე არხების გაწმენდითი სამუშაოები; ქუჩების მოვლა ზამთრის სეზონზე; შადრევნების მოვლა-ექსპლოატაცია ქალაქის ტერიტორიაზე განთავსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოსაცდელების მოვლა-პატრონობა; სკვერების და გაზონების მოვლა, მწვანე ნარგავების შექმნა, დარგვა და გამწვანების ზოლებში სხვა დეკორატიული მცენარეების განაშენიანება.

გათვალისწინებულია გასული წლის ვალდებულებების დასაფარავად სუბსიდიის ზრდა 19437 ლარის ოდენობით.

შ) დადგენილების მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ა) სკოლამდელი განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)

ქალაქ გორის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 18 საბავშვო ბაგა-ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს საშუალოდ 3400 ბავშვი. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საბავშვო ბაგა-ბაღების დაფინანსება გათვალისწინებულია თითოეულ ბავშვზე თვეში 60 (სამოცი) ლარის ოდენობით.



სუბსიდიის ფარგლებში გათვალისწინებულია №1, №2, №7 და №18 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ალტერნატიული ფართის საიჯარო ქირის გადასახადის დაფინანსება.

სუბსიდიის ფარგლებში გათვალისწინებულია №12 საბავშვო ბაგა-ბაღის ინვენტარის შეძენა 8 000 ლარიუს ოდენობით.

გასული წლის ვალდებულებების ფარგლებში გათვალისწინებულია სტიქიით დაზიანებული №1 საბავშვო ბაგა-ბაღის სახურავის რეაბილიტაცია.

ჩ) დადგენილების მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის „ა.დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ა.დ) ა(ა)იპ „ქ. გორის მუნიციპალიტეტის მერიის საცურაო აუზის“ შენობის რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 05 01 04)

გათვალისწინებულია საცურაო აუზის შენობის რეაბილიტაციის თანადაფინანსება.

გასული წლის ვალდებულებების ფარგლებში დაფინანსდება საცურაო აუზის შენობის რეაბილიტაციის პროექტის ღირებულება.

ც) დადგენილების მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის „ა.ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ა.ვ) სპორტული ცენტრის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სპორტული ცენტრის სუბსიდირება სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობისა და სპორტული შეკრებების ორგანიზებისათვის.

გასული წლის ვალდებულებების დასაფარავად გათვალისწინებულია სუბსიდიის ზრდა 2 340 ლარის ოდენობით.

ძ) დადგენილების მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ.ბ.“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ბ.ბ) სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი ახორციელებს სამუსიკო სკოლის და სამხატვრო სკოლის დაფინანსებას, რითიც ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ შესაბამისი განათლების მიღებას სრული კურსით და უზრუნველყოფს მათი ფუნქციონირებისათვის საჭირო მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას.

დაგეგმილია სამხატვრო სკოლასთან არსებული ტიხრული მინანქრის საამქროს ფუნქციონირების ხელშეწყობა.

სამხატვრო სკოლის გასული წლის ვალდებულებების დასაფარავად გათვალისწინებულია სუბსიდიის ზრდა 3018 ლარის ოდენობით.

წ) დადგენილების მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ.ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ბ.ე) გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დაფინანსება, რომელიც უზრუნველყოფს ეროვნული საგანძურის დაცვას, სამუზეუმო ექსპონატების გამოფენას, მოძიებას, კვლევა-შენახვასა და სამეცნიერო შესწავლას.

გასული წლის ვალდებულებების დასაფარავად გათვალისწინებულია სუბსიდიის ზრდა 5539 ლარის ოდენობით.

ჭ) დადგენილების მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ.ი“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ბ.ი) კულტურული ღონისძიებების პროექტების ხელშეწყობა და თანადაფინანსების პროგრამა



(პროგრამული კოდი 05 02 10)

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აცხადებს მზადყოფნას საქართველოში ან/და სხვა სახელმწიფოში არსებული: არასამთავრობო ორგანიზაციების და მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფების მიერ წარმოდგენილი პროექტების და საგუნდო მუსიკის ფესტივალის თანადაფინანსების განსახორციელებლად, რომელიც ემსახურება კულტურული სფეროს გაუმჯობესებას.

გასული წლის ვალდებულების ფარგლებში გათვალისწინებული პროექტის თანადაფინანსება.

ბ) დადგენილების მე-16 მუხლის მე-5 პუნქტს დაემატოს „გ.ვ“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

გ.ვ) სტუდენტების დახმარება (პროგრამული კოდი 06 03 09)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია:

აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის საფასურის თანადაფინანსება 500 ლარის ოდენობით, ერთჯერადად იმ სტუდენტებისა, რომლებიც არ სარგებლობენ სხვა სახელმწიფო პროგრამით და არა აქვთ მოპოვებული სახელმწიფო გრანტი: დედა-მამით ობოლი, მარჩენალდაკარგული და მრავალშვილიანი (4 და მეტი შვილი 18 წლის ჩათვლით) ოჯახებიდან, სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან, რომელთაც აქვთ მინიჭებული 0-დან 65 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა.

ჯ) დადგენილების მე-16 მუხლის მე-5 პუნქტის „გ.ვ“ ქვეპუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

გ.ზ) სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო დახმარება (პროგრამული კოდი 06 03 10)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ერთჯერადი დახმარება:

სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს, რომელთაც ესაჭიროებათ სამედიცინო კვლევა, რაც არ არის გათვალისწინებული სხვა პროგრამით და გააჩნიათ 0-დან 70000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა, დაფინანსება განისაზღვროს 150 (ასორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს, რომელთაც გააჩნია 0-დან 100 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა, სამედიცინო დახმარების თანადაფინანსება განისაზღვროს პაციენტის მხრიდან გადასახდელი თანხით, არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარით.

სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს, რომელთაც გააჩნია 0-დან 70 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა, „C“ ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამასთან დაკავშირებული სამედიცინო კვლევების თანადაფინანსება მერიის მხრიდან განისაზღვროს საწყისი ღირებულების 30%-ით.

იმ მოქალაქეებს, რომელთაც „C“ ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამასთან დაკავშირებული სამედიცინო კვლევები უფინანსდებათ 30%-ით, თანადაფინანსება მერიის მხრიდან განისაზღვროს საწყისი ღირებულების 50%-ით.

ჰ) დადგენილების მე-16 მუხლის მე-5 პუნქტის „გ.ზ“ ქვეპუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

გ.თ) ონკოლოგიური ავადმყოფების სამედიცინო დახმარება (პროგრამული კოდი 06 03 11)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:

უფასო მედიკამენტებით დახმარება ონკოლოგიურ ავადმყოფებს გაეწევათ ერთჯერადად არა უმეტეს 300 (სამასი) ლარის ოდენობით.

ონკოლოგიური ავადმყოფების სამედიცინო კვლევა, რომელიც არ არის გათვალისწინებული სხვა პროგრამით, კვლევის თანადაფინანსება განისაზღვროს წარმოდგენილი ღირებულებით არაუმეტეს 300



(სამასი) ლარის ოდენობით.

ონკოლოგიური ავადმყოფების სამედიცინო სტაციონარული მომსახურების თანადაფინანსება განისაზღვროს არსებული სამედიცინო მომსახურების პაციენტის მხრიდან გადასახდელი თანხით, არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

3.ა) დადგენილების მე-16 მუხლის მე-5 პუნქტის „გ.თ“ ქვეპუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

გ.ი) სქოლიოზით დაავადებული ბავშვების სამკურნალო-სარეაბილიტაციო დახმარება (პროგრამული კოდი 06 03 12)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:

II და III ხარისხის სქოლიოზით დაავადებული 18 წლამდე ბავშვების დაფინანსება, რომელთა ოჯახსაც გააჩნიათ 0-დან 100000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა, ამ დაავადებათა მკურნალობის ფარგლებში ერთჯერადად განსაზღვრულია თანადაფინანსება არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარისა.

დაფინანსება საცურაო აუზზე II და III ხარისხის სქოლიოზით დაავადებული ბავშვებისა 18 წლამდე, რომელთა ოჯახსაც გააჩნიათ 0-დან 100000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა, თითოეულ ბავშვს დაუფინანსდეს ერთთვიანი საცურაო-გამაჯანსაღებელი კურსი გორის საცურაო აუზზე თვეში 12 პროცედურა (კვირაში 3 დღე).

3.ბ) დადგენილების მე-16 მუხლის მე-5 პუნქტის „გ.ი“ ქვეპუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

გ.კ) სოციალური პროექტების თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 06 03 13)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია:

საბიუჯეტო, არასამთავრობო, არარეგისტრირებული კავშირების, არასამეწარმეო და სხვა ორგანიზაციების თანადაფინანსება, რომლებიც საკუთარი სახსრებით ან დონორი ორგანიზაციებიდან გრანტის მიღების გზით მოახდენენ წილობრივ თანადაფინანსებას და პროექტის განხორციელებით ხელს შეუწყობენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ასევე მუნიციპალიტეტის მონაწილეობა ჯანდაცვისა და სოციალურ სფეროში ჩატარებულ საქველმოქმედო ღონისძიებებში.

გასული წლის ვალდებულების ფარგლებში გათვალისწინებულია პროექტის თანადაფინანსება.

3.გ) დადგენილების მე-16 მუხლის მე-5 პუნქტის „გ.კ“ ქვეპუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

გ.ლ) უფასო მედიკამენტებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 03 14)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია:

მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ეპილეფსიით, პარკინსონიზმით, ბრონქიალური ასთმით დაავადებული; გულის იშემიური დაავადების მქონე სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი პაციენტების, რომელთაც გააჩნიათ 0-დან 65 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა და შაქრიანი დიაბეტით, ტიპი II (ინსულინ-დამოუკიდებელი) ფორმით დაავადებული სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი პაციენტების, რომელთაც გააჩნიათ 0-დან 65 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა, გლავკომით დაავადებული სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი პაციენტების, რომელთაც გააჩნიათ 0-დან 65 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა, ერთჯერადი დახმარება არაუმეტეს 100 (ასი) ლარის ოდენობით, ამ მუხლში აღნიშნულ დაავადებათა მკურნალობის ფარგლებში.

3.დ) დადგენილების მე-16 მუხლის მე-5 პუნქტის „გ.ლ“ ქვეპუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:



გ.მ) ხანძრებისა და სტიქიური მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დახმარება (გარდა განზრახ და უხეში გაუფრთხილებლობით წარმოშობილი ხანძრისა) (პროგრამული კოდი 06 03 15)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:

ხანძრებისა (გარდა განზრახ და უხეში გაუფრთხილებლობით წარმოშობილი ხანძრისა) და სტიქიური მოვლენების შედეგად საცხოვრებელ ბინებზე მიყენებული ზარალისათვის დაზარალებული ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება დამდგარი ზიანის მიხედვით, მაგრამ არაუმეტეს 1750 (ათასშვიდასორმოცდაათი) ლარისა.

ჰ.ე) დადგენილების მე-16 მუხლის მე-5 პუნქტის „გ.მ“ ქვეპუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

გ.ნ) საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლთა (ვეტერანთა) ოჯახების სოციალური დახმარება (პროგრამული კოდი 06 03 16)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:

საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, ომის შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეების დახმარება 200 (ორასი) ლარის ოდენობით.

სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებით საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება 150 (ასორმოცდაათი) ლარის ოდენობით საქართველოს დამოუკიდებლობის დღისათვის – 26 მაისისათვის და მეორე მსოფლიო ომის მონაწილეების დახმარება 100 (ასი) ლარის ოდენობით ფაშიზმზე გამარჯვების დღისთვის – 9 მაისისთვის.

ჰ.ვ) დადგენილების მე-16 მუხლის მე-5 პუნქტის „გ.ნ“ ქვეპუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

გ.ო) რეინტეგრაციაში მყოფი ბავშვების დახმარება (პროგრამული კოდი 06 03 17)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:

ყოველთვიური დახმარება თითოეულ ბავშვზე 80 (ოთხმოცი) ლარის ოდენობით.

ჰ.ზ) დადგენილების მე-16 მუხლის მე-5 პუნქტის „გ.ო“ ქვეპუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

გ.პ) კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი მარტოხელა პენსიონერების დახმარება (პროგრამული კოდი 06 03 18)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:

სიღარიბის ზღვარს მიღმა/ზღვარზე მყოფი (0-დან 70000 ჟულის მქონე) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების(ბენეფიციარების) დახმარება გადაუდებელი საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით საქონლის გადაცემის ფორმით ან ფულადი დახმარებით არა უმეტეს 100 (ასი) ლარის ოდენობით შემდეგ პირველად საჭიროებაზე: საკვები, პირადი მომსახურების ნივთები, ჰიგიენის საშუალებები, საყოფაცხოვრებო ნივთები.

ჰ.თ) დადგენილების მე-16 მუხლის მე-5 პუნქტის „გ.პ“ ქვეპუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

გ.ყ) მარტოხელა დედების დახმარება (პროგრამული კოდი 06 03 19)



ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:

გადაუდებელი საჭიროების დაკმაყოფილების მიზნით, ბენეფიციარებს ამ მუხლით დახმარება გაეწევათ საქონლის გადაცემის ფორმით, ან თანხობრივად – არაუმეტეს 100 (ასი) ლარის ოდენობით შემდეგ პირველად საჭიროებებზე: საკვები, პირადი მომსახურების ნივთები, ჰიგიენის საშუალებები, საყოფაცხოვრებო ნივთები.

3.ი) დადგენილების მე-16 მუხლის მე-5 პუნქტის „გ.ჟ“ ქვეპუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

გ.რ) სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებისათვის ზამთრის პერიოდში ფულადი დახმარება (პროგრამული კოდი 06 03 20)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:

სოციალურად დაუცველი მოქალაქეების (0-დან 65000 სარეიტინგო ქულა) ზამთრის პერიოდში (3 თვე) ფულადი დახმარება 20 (ოცი) ლარის ოდენობით.

3.კ) დადგენილების მე-16 მუხლის მე-5 პუნქტის „გ.რ“ ქვეპუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

გ.ს) მიუსაფარ პირთა და უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში მყოფი ოჯახების დახმარება (პროგრამული კოდი 06 03 21)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:

განსაკუთრებულ შემთხვევებში, უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში მყოფი ოჯახების და მიუსაფარ პირთა დახმარება ურთქერადი ფულადი ან საქონლის/მომსახურების გადაცემის გზით არაუმეტეს 1000 (ათასი) ლარისა.

3.ლ) დადგენილების მე-16 მუხლის მე-5 პუნქტის „გ.ს“ ქვეპუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

გ.ტ) ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეთა გაერთიანებების თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 06 03 22)

სოციალურად დაუცველი ოჯახების (0-დან 70000-ის ჩათვლით), რომლებიც ინფრასტრუქტურულ პროექტში „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეთა გაერთიანებების თანადაფინანსება“ მონაწილეობისას გადახდისუუნაროა, თანამონაწილეობის წილის დაფინანსებას სრულად უზრუნველყოფს მერია სამუშაოების მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

3.მ) დადგენილების მე-16 მუხლის მე-5 პუნქტის „გ.ტ“ ქვეპუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

გ.უ) ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის (ბენეფიციარებისთვის) გადაუდებელი საჭიროების დაკმაყოფილების მიზნით დახმარების გაწევა (პროგრამული კოდი 06 03 23)

